შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

№523(O) 28. 10. 2016 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა გამრეკელი №19/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ი. გამრეკელი №19-ში, საკადასტრო კოდით №01.14.02.025.187 მოქალაქე ვიტალი ვასილჩენკოს, თატიანა ვასილჩენკოსა და ლეონიდ ვასილჩენკოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული არსებულ ნაკვეთზე განთავსებული შენობების დემონტაჟისა და მრავალბინიანი ათ სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა მომიჯნავე ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა გამრეკელი №19/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ი. გამრეკელი №19-ში შემოწმებულ იქნა საკ. კოდით №01.14.02.025.187 მიწის ნაკვეთი. კვლევას საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილება კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა (საკ. ნუმერაციით 1/2 და 2/1) და მრავალბინიანი ათ სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებულ შენობებზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში კონსტრუქციული მდგომარეობის მიხედვით ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობას მომიჯნავე ტერიტორიების მიმართ.

საპროექტო მიწის ნაკვეთს ესაზღვრება მომიჯნავე მიწის ნაკვეთები. ერთი მხრიდან ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.14.02.025.100 (ქუჩა ი. გამრეკელი №21), სადაც განთავსებულია სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლი საკ. ნუმერაციით 1/3 და დამხმარე ფართი 2/1, რომელიც საძრვრის მიჯნაზეა ხოლო დარჩენილი შენობა-ნაგებობები დაცილებულია საკმარისი მანძილით. წარმოდგენილი შენობა კონსტრუქციული მახასიათებლების მიხედვით განხორციელებულია კომბინირებული სახით კერძოდ, აგურისა და ბლოკის კედლების წყობით, ანუ შენობა თავისი მახასიათებლების მიხედვით მზიდკედლიანი ტიპისაა, რომლი საძირკველი ბუტა-ბეტონის ლენტური ტიპისაა. არსებული შენობა საპროექტო მიწის ნაკვეთიდან, სადაც უნდა მოხდეს არსებული ორ სართულიანი შენობის დაემონტაჟი განთავსებულია მიჯნაზე, თუმცა მათ კვლევის შედეგად არ გააჩნიათ საერთო დანიშნულების მზიდი კედელი და განთავსებულია ცალკეულ ფუნდამენტზე.

კონსტრუქციული გაანგარიშებისა და გადაწყვეტილების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელით. სამუშაოების დასრულების შემდგომ, რაც გულისხმობს ქვაბულის დამუშავებას და კორპუსის საძირკვლების მოწყობას, საზღვირს მიჯნაზე დამატებით მოეწყოს რკინა-ბეტონის



დამცავი პერანგი, რაც არსებული მომიჯნავე შენობის საძირკვლების დონეებამდე უნდა იქნას განსაზღვრული. წარმოდგენილი საანგარიშო სქემით აბსოლიტურად უზრუნველყოფილ იქნება დატვირთვებისა და ძალვების თაბარ გადანაწილება და გამორიცხულია უარყობითი ზეგავლენა მოახდინოს აღნიშნული მომიჯანვე შენობის მიმართ. საპროექტო შენობა აღნიშნული მომიჯნავე ტერიტორიიდან გენერალური გეგმის მიხედვით დაცილებულია საკმარისი მანძილით და მშენებლობის წარმოების და გეგმარების პროცესში გამორიცხულია ყოველგვარი უარყობითი შედეგების წარმოქმნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთს ასევე ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.14.02.025.087 მიწის ნაკვეთი (ქუჩა გამრეკელი №17), სადაც განთავსებულია ანალოგიურად ორ სართულიანი და ერთ სართულიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა და დამხმარე ფართი (საკ. ნუმერაციით და 1/1, 2/1 და 3/2). აღნიშნული შენობა საპროექტო სადემონტაჟო და საპროექტო კორპუსიდან დაცილებულია საკმაო მანძილით და არ გააჩნია არავითარი სახის კონსტრუქციული კავშირი. საძირკვლებიდან გამომდინარე შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით საკმარისად მოცილებულია საპროექტო ტერიტორიის არეალიდან და გამორიცხულია რაიმე სახის ზეგავლენის წარმოქმნა, როგორც სადემონტაჟო ასევე სამშენებლო სამუშაოების პროცესში.

აღნიშნულ მომიჯნავე ტერიტორიებზე განთავსებულ შენობებს საპროექტო სამუშაოებით კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოებით ქვაბულის დამუშავებით, ახალი მშენებლობისათვის საძირკველბის მოწყობით და კარკასის მშენებლობით არ მიადგენა ზიანი და უარყობითი ზეგავლენა, ვიანიდან კონსტრუქციული დაგეგმარების მიხედვით გაანგარიშება ნაწარმოებია სწორად და მართებულად. აღნიშნული სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები ზემოთ ხსენებული შენობების მიმართ არავითარ ზეგავლენას არ გამოწვევს, ვინაიდან მათ შორის მანძილები საკმარისად არის დაცული.

სამუშაოების წარმოების პროცესში, რომელიც გულისხმობს მიწის სამუშაოებს საძირკვლის მოსამზადებლად, დასაშვებია გამოყენებულ იქნას ეგრეთ წოდებული "კოდალა", ვინაიდან გეოლოგიური მონაცემების მიხედვით ნაყარი ფენის შემდგომ გხვდება კლდოვანი ქანების მორიგეობა. შესაბამისად ქვაბულის დამუშავება უნდა



განხორციელდეს “კოდალი”-ს საშუალებით, რაც მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული შენობის მიმართ არ გამოიწვევს ვიბრაციებისა და უარყობითი შედეგების წარმოქმნას, ვინაიდან დარტყმის ინტენსიური ძალა არ აღემატება 0.70 კ/ჯოულს.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, ქუჩა გამრეკელი №19/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ი. გამრეკელი №19-ში, საკადასტრო კოდით №01.14.02.025.187 მიწის ნაკვეთზე ზემოთ აღნიშნული სადემონტაჟო და ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის განხორციელება დასაშვებად მიგვაჩნია. კონსტრუქციული მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია და ექვემდებარება პროექტის მიხედვით სამუშაოების წარმოებას, შესაბამისად არ მოახდეს მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობების მიმართ უარყობით ზეგავლენას ზემოთ ხსენებული გარემო-პირობებიდან და კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები და მოხდეს, როგორც არსებული შენობის დემონტაჟი ასევე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, სადაც ქვაბულის მოსაწყობად დასაშვებია გამოყენებულ იქნას “კოდალა”.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: